მოგეხსენებათ, რომ განმცხადებელი მიუთითებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ელი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-10 და მე-11 პრინციპების დარღვევაზე გადაცემაში „სათქმელი". ამ კონკრეტულ განცხადებაში, ავტორს გაანალიზებული აქვს ფრაზები მონოლოგიდან და ასე აქვს ფორმულირებული „ბრალდებები". მე, გადაცემის წამყვანი, ირინა ყურუა, შევეცდები მივყვე თანმიმდევრობას და ისე ვუპასუხო თითოეულ მათგანს.

განმცხადებელი სადავოდ ხდის ფრაზას მონოლოგიდან: „ბათუმში აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები დააკავეს".

განმცხადებლის ანალიზი ასეთია: „დაკავებულია პროფესორი და 4 სტუდენტი. არ შეიძლება მოძალადე ძალოდბრივი აქტის განხორციელების პროცესში მოიხსენიო აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლად, რადგან ძალადობას არანაირი კავშირი არ აქვს აკადემიურ საქმიანობასთან, შესაბამისად აღნიშნული პირები დააკავეს სასამართლოს განჩინებით და მათ განუსაზღვრეს წინასწარი პატიმრობა, რაც ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის დროს სასამართლო პრაქტიკაა, ასევე სტუდენტები აკადემიურ საზოგადოებად არ იწოდებიან".

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: მე, როგორც ჟურნალისტი, პატივს ვცემ უდანაშაულობის პრეზუმფციას და ვხელმძღვანელობ მისი არსითა და კონტექსტით. უდანაშაულობის პრეზუმფცია არის სისხლის სამართლის ერთ-ერთი პრინციპი და ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი უფლება, რომლის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და / ან ბრალდებული პირი არ მიიჩნევა დამნაშავედ მანამდე, ვიდრე მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო არ დაამტკიცებს მის ბრალეულობას. მოგეხსენებათ, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არ ნიშნავს ბრალეულობის დამტკიცებას, სასამართლოს გადაწყვეტილება კი ამ დროისთვისთვისაც არ არსებობს. შესაბამისად - დაკავებულების ბრალეულობა დამტკიცებული არ არის ამიტომ მათ, განმცხადებლისგან განსხვავებით, მე - ჟურნალისტი „მოძალადეს" ვერ ვუწოდებ. „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით."(საქართველოს კონსტიტუცია 31.5 მუხლი).

სადავო ფრაზა: „წინასწარ პატიმრობაში იმყოფება ოთხი სტუდენტი და სასცენო, კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მამუკა ჯორბანაძე".

განმცხადებლის ანალიზი: „ჯორბენაძე არის აღნიშნული ძალადობის ორგანიზატორი, რომელმაც ეს ქმედება დაორგანიზა და ჩაიდინა სასწავლებლის კედლებში არა სასწავლო და არასამუშაო დროს".

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: მოგახსენებთ, რომ განმცხადებლის ანალიზი სუბიექტურ შეფასებას ეყრდნობა, რისი უფლებაც მას ცხადია, გააჩნია, მე კი, როგორც ჟურნალისტს, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მამუკა ჯორბენაძის მიმართ

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის არც უფლება მაქვს და არც – სურვილი. არის თუ არა მამუკა ჯორბენაძე ძალადობის ორგანიზატორი, ამას სასამართლო დაადგენს.

სადავო ფრაზა: „პროკურატურა დაკავებულ ანრი კაკაბაძეს, გურამ მიქელაძეს, გიორგი დავითაძეს, დავით გვიანიძეს დეკანთან ერთად ჯგუფურ ძალადობას ედავება“.

განმცხადებლის ანალიზი: „აღნიშნული ძალადობის ფაქტი, რაზედაც ჟურნალისტი უთითებს, დადასტურებულია არამხოლოდ დაზარალებულების მიერ, არამედ სასწავლებლის შენობის შიგნით მოთავსებული ვიდეო-კამერით, სადაც მკაფიოდ და დეტალურად ჩანს თითოეული მონაწილის ქმედება. (იხ. ვიდეო 2))

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: მონოლოგში აღწერილია რეალობა ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით. პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალი საჯაროდ არის ცნობილი, რასაც მე მაყურებელს ვაცნობ. გაურკვეველია, რაზე დავობს განმცხადებელი.

სადავო ფრაზა: „ჯგუფური ძალადობისთვის დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა მოსამართლე ლევან ყოლბაიამ.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი და სტუდენტები აქციებში მონაწილეობით აპროტესტებდნდნენ ხელისუფლების გადაწყვეტილებას ევროკავშირთან მოლაპარაკების 2028 წლამდე შეჩერების შესახებ.

სწორედ საპროტესტო შინაარსის პლაკატის გაკვრას ცდილობდნენ ახალგაზრდები რექტორის კაბინეტის კარებზე, როცა ლექტორს თეა ცაგურიასა და მათ შორის დაპირისპირება დაიწყო”.

განმცხადებლის ანალიზი: „ყურუა არ ახსენებს ჩემს აკადემურ სტატუსს, რითიც მიზანმიმართულად მაკნინებს ჯორბენაძესთან შედარებით, ვარ ასოცირებული პროფესორი, ასევე სიცრუეა, რომ მე რაიმე სახით შენიშვნა მივეცი ამ სტუდენტებს ან კონტაქტი მქონდა დაკავებულ სტუდენტებთან, როგორც სიუჟეტში უთითებს ჟურნალისტი თითქოსდა დაკავებულები აკრავდნენ პლაკატებს და მე ამის საშუალება მათ არ მივეცი (იხ. ვიდეო 1) დაკავებული სტუდენტები აღნიშნული ინციდენტის დროს იქ არ იმყოფებოდნენ. რაზეც ჟურნალისტი საუბრობს ეხება სხვა დროს და სხვა სტუდენტებთან ჩემს საუბარს, ჟურნალისტს განზრახ შეყავს მაყურებელი შეცდომაში.“

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: სადავო ფრაზა შეცვლილია, ამოღებულია ან ჩამატებულია სიტყვები. სინამდვილეში მონოლოგში სადავო მონაკვეთი ასეთია: „დაკავებულებს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა მოსამართლე ლევან ყოლბაიამ გუშინ შეუფარდა. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი და სტუდენტები აქციებში მონაწილეობით აპროტესტებდნდნენ ხელისუფლების ანტიდასავლურ

გადაწყვეტილებას ევროკავშირთან მოლაპარაკებების 2028 წლამდე შეჩერების შესახებ. სწორედ საპროტესტო შინაარსის პლაკატის გაკვრას ცდილობდნენ ახალგაზრდები რექტორის კაბინეტის კარებზე, როცა ლექტორს – თეა ცაგურიას და მათ შორის დაპირისპირება დაიწყო".

განვმარტავ, რომ დაკავებულთაგან გურამ მიქელაძეა ის სტუდენტი, რომელიც ინციდენტის დროს სხვა სტუდენტებთან ერთად იმყოფებოდა რექტორის კაბინეტის შესასვლელთან. ეს დასტურდება იმ ვიდეოთი, რომელიც ტელეკომპანია „იმედმა" ახალგაზრდების დაკავებისთანავე გააავრცელა, ქ-ნმა თეა ცაგურიამ კი თქვენ მოგაწოდათ. რაც შეეხება მის დაპირირსპირებას სტუდენტებთან, მსგავსი შინაარსის ჩვენებები უკვე აქვს გამოძიებას, მხარეთა ადვოკატებს და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის (ვისაც საქმეზე მეტი შინაარსის გაგების სურვილი აქვს). გამნცხადებლის მიერ სადავოდ გამხარი ფრაზიდანაც კარგად ჩანს, რომ მე არსად მიხსენებია, რომ ლექტორი ხელს უშლიდა სტუდენტებს პლაკატის გაკვრაში. ჩემი გრაზაა: სწორედ საპროტესტო შინაარსის პლაკატის გაკვრას ცდილობდნენ ახალგაზრდები რექტორის კაბინეტის კარებზე, როცა ლექტორს – თეა ცაგურიას და მათ შორის დაპირისპირება დაიწყო".

კიდევ ერთი პრეტენზია, ამ მონაკვეთში, ეხება განმცხადებლისს სტატუსს. თეა ცაგურიას დაკნინება ჩემი მიზანი ნამდვილად არ ყოფილა და ვერანაირად ვიფიქრებდი, რომ სიტყვა „ლექტორი" დამაკნინებელ კონტექსტში იქნებოდა აღქმული, ვინაიდან ლექტორობა პირადად ჩემთვის დიდი პატივია. გაურკვეველია სტატუსი „ლექტორი" რამდენად და რატომ აკნინებს გამცხადებელს ან თუ აკნინებს, მაშინ როგორ ურთიერთობს სტუდენტებთან და როგორ ასრულებს ლექტორის უფლებამოსილებას? უმაღლეს სასწავლებელში, ჩვენ, პირველ რიგში ვართ ლექტორები და შემდეგ გვაქვს ხარისხის დამადასტურებელი სტატუსები. მოწვეული ლექტორი, ასისტენტ-პროფესორი ან პროფესორი ღირსებით ერთმანეთს ნამდვილად არ ჩამოუვარდება და მათი სეგრეგაცია ნამდვილად არ მიფიქრია.

სადავო ფრაზა: ,,დეკანმა სიტუაციის განმუხტვა სცადა."

განმცხადებლის ანალიზი: "დეკანი, სხვა სტუდენტების თანდასწრებით, სხვა გარემოებაში, იმის ნაცვლად, რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა და სიტუაცია განემუხტა, იყო ჩემს მიმართ აგრესიული, მომაყენა სიტყვიერი შეურაცხოფა და ჰქონდა მცდელობა ფიზიკურად გამსწორებოდა, რა დროსაც ის დააკავა იქ მყოფმა სტუდენტმა, ყურუა ცდიოლობს ჩემსა და დეკანს შორის წარმოქმნილი სამსახურეობრივი დაპირსიპრება წარმოაჩინოს პოლიტიკურ ჭრილში და მისცეს მას შესაბამისი დატვირთვა, რაც მიზანად ისახავს მოძალადეების ,,პოლიტიკურ პატიმრებად" წარმოჩენას, ასევე, ყურუა უგულვებელყოფს ჩემ მიმართ, ჯორბენაძის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხოფას და ფიზიკური ძალადობის მცდელობას და ახდენს ჩემს დისკრიმინაციას როგორც ქალის, მე მსხვერპლს წარმომაჩენს დამნაშავედ და მოძალადე ჯორბენაძეს წარმოაჩენს მსხვერპლად. (იხ.ვიდეო 1)

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: სადავო ფრაზა მცირედით კორექტირებულია. დედანში ის ასეთია: „დეკანი სიტუაციის განმუხტვას შეეცადა“. რაც შეეხება პრეტენზიას, თავად განმცხადებელი მიუთითებს, რომ წამყვანი არ საუბრობს მის მიერ არგუმენტად მოყვანილ შემთხვევაზე. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ქ-ნი თ. ცაგურიას ფრაზას: “დეკანი, სხვა სტუდენტების თანდასწრებით, სხვა გარემოებაში, იმის ნაცვლად, რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა და სიტუაცია განემუხტა, იყო ჩემს მიმართ აგრესიული...“ აქ განმცხადებელი ვერ უარყოფს ჩემს მიერ აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას, რაც მის მიერვე მოწოდებულ ვიდეოზეც არის აღბეჭდილი და დაკავებულების დაცვის მხარესაც აქვს. მე მაყურებელს ვუყვები სწორედ ამ ინციდენტის შესახებ. „სხვა სტუდენტების თანდასწრებით, სხვა გარემოებაში“ მომხდარ ფაქტზე ხაზგასმით, განმცხადებელი ცდილობს შექმნას განწყობა, რომ წამყვანი ფაქტს ამახინჯებს. მე მაყურებელს ვერ მოვუყვებოდი „სხვა სტუდენტების თანდასწრებით, სხვა გარემოებაში“ მომხდარ ვერანაირ ინციდენტზე, ვინაიდან ეს არც გამოძიების მიერ ამოღებულ ვიდეოზეა აღბეჭდილი და მსგავსი ინფორმაცია არც პროკურატურას გაუსაჯაროვებია.

სადავო ფრაზა: ,,გვიან ღამით კი პროფესორთან, უნივერსიტეტის შენობაში, ინციდენტში მონაწილე ლექტორის ქმარი – ბათუმის მერიის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ირაკლი დევაძე მივიდა, თანმხლებ პირთან ერთად“.

განმცხადებლის ანალიზი: „ჩემი მეუღლე უნივერსიტეტში თავისი ინიციატივით არ მისულა, იგი დეკანმა თვითონ დაიბარა უნივერსიტეტის შენობაში, ღამის საათებში (საქმეში დევს სმს-ს სქრინი რითიც ჯორბენაძის ეს ქმედება დასტურდება), (უნივერსიტეტის შიდა განაწესით არც პედაგოგი და არც სტუდენტები იქ არ უნდა ყოფილიყვნენ) ჩემი მეუღლე უნივერსიტეტში მივიდა მეუღლის სტატუსით და არა როგორც მერიის თანამშრომელი. ვფიქრომ, რომ ჩემი მეუღლის სამსახურის ხსენება მოხდა მიზანმიმართლად, რათა გაემძაფრებულიყო მაყურებელში განცდა, რომ დაკავებულები პოლიტპატიმრები არიან, ასევე ყურუამ განზრახ არ ახსენა, რომ დაპატიმრებულთაგან ორის მშობელი ასევე მერიის თანამშრომლებია“.

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: დადასტურებული ფაქტია, რომ უნივერსიტეტის შენობაში სწორედ გვიან ღამით შედის ორი პირი, ლექტორის მეუღლე და მისი მეგობარი, რაც ქ-ნი თ. ცაგურიას მიერვე მოწოდებულ ვიდეოშიც კარგად ჩანს და ამ ფაქტს არც თავად უარყოფს. სქრინზე, რომელზეც საუბრობს განმცხადებელი, შეუფერხებლად იკითხება შეურაცხმყოფელი ეპითეტების შემდეგ როგორ ეუბნება ირაკლი დევაძე დეკანს, რომ დანარჩენ სათქმელს პირადად ეტყვის. ტექსტი სქრინიდან, რომელზეც განმცხადებელი საუბრობს:

ი. დევაძე:

„ქალებთან ასეთი მაგარი ტრ*** თუ გაქ კაცებთან გაგსინჯავ ვინ ხარ ვაფშე! ენას ამოგაძრობ ნაძირალა ფაშისტო! უყვირე და უღრიალე შენს ოჯახის წევრებს! დანარჩებს პირადად გეტყვი!“

მ. ჯორბენაძე:

„მოდი, აქა ვარ, უნივერსიტეტში“

ი. დევაძე:

„დამელოდე“

მ. ჯორბენაძე:

„გელოდები“

მოგახსენებთ – მე არსად მითქვამს, რომ ლექტორის ქმარი დეკანთან მიწვევის შემდეგ მივიდა ან – დაუპატიჟებლად. ამ დეტალების გარკვევაც სასამართლოს პრეროგატივაა. განმცხადებელი ცდილობს მომაწეროს ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რაზეც საერთოდ არ მისაუბრია. სიტყვა „პოლიტპატიმრებთან“ დაკავშირებით ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ამ ტერმინს არათუ მონოლოგში, არამედ სრულ გადაცემაშიც ვერსად იპოვით. პროფესიული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ეთერში მსგავს შეფასებებს ყოველთვის ვერიდები.

ქ–ნი თ. ცაგურია აღნიშნავს, რომ მისი მეუღლე უნივერსიტეტის შენობაში შევიდა არა როგორც მერიის თანამშრომელი, არამედ – ქმარი. საქმის მასალებში არსად მოიპოვება ირაკლი დევაძის შვებულებაში ყოფნის შესახებ ინფორმაცია, ამაზე არც პროკურორს უთქვამს რამე. ასე, რომ დღის ნებისმიერ მონაკვეთში იგი ნამდვილად იყო მერიის თანამშრომელი, შენობაში შესვლის მონაკვეთში ვერ გათავისუფლდებოდა ამ სტატუსისგან. ვთვლი, რომ არც ამ შემთხვევაში მითქვამს ტყუილი მაყურებლისთვის...მუშაობენ თუ არა დაკავებული სტუდენტების მშობლები მერიაში, ეს ინფორმაცია საქმესთან არანაირ კავშირში არ არის, ვინაიდან ისინი არ არიან საქმის ფიგურანტები და მაყურებელს მნიშვნელოვანს არაფერს ეუბნება, მით უფრო, როცა ისინი ინციდენტის მხარეები არ არიან.

სადავო ფრაზა: „რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოყვა.“

განმცხადებლის ანალიზი: „მისვლისთანავე ეს დაჯგუფება თავს დაესხვა ჩემს მეუღლესა და მის მეგობარს, დააგდეს იატაკზე და გააგრძელეს წაქცეული ადამიანების ცემა, ჩემი მეუღლე წამოდგა ფეხზე, რის შემდეგადაც ის ისევ წააქციეს და გააგრძელეს მისი ჯგუფურად ცემა (იხ. ვიდეო 2)).

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: ჩემს მიერ მაყურებლისთვის ნათქვამ ფრაზაში – „გვიან ღამით კი პროფესორთან, უნივერსიტეტის შენობაში, ინციდენტში მონაწილე ლექტორის ქმარი – ბათუმის მერიის მუნიციპალური სერვისების განვითარების

სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ირაკლი დევაძე მივიდა, თანმხლებ პირთან ერთად, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა“ არის მხოლოდ ფაქტობრივი მოცემულობა, რაც დასტურდება ვიდეოთი.

სადავო ფრაზა: ,,გამოძიების ვერსიით, ამ პირებს მამუკა ჯორბენაძე და სტუდენტები თავს დაესხნენ, დაზარალებულის სტატუსიც სწორედ ირაკლი დევაძესა და ირაკლი ნაკაშიძეს აქვთ“.

განმცხადებლის ანალიზი: „საქმეში დევს ვიდეო, რომელიც ამოღებულია უნივერსიტეტის სათვალთვალო კამერებიდან, ვიდეოში ნათლად ჩანს როგორ ესხმიან თავს ჩემს მეუღლესა და მის მეგობარს დეკანი და 4 სტუდენტი, ეს არ არის გამოძიების ვერსია, ეს არის ფაქტი ! (იხ. ვიდეო 2)

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: მონოლოგში მაყურებელს ისევ და ისევ ფაქტობრივ გარემოებაზე ვუყვები. სწორედ პროკურატურის ვერსიაა ის, რომ „ამ პირებს მამუკა ჯორბენაძე და სტუდენტები დაესხნენ თავს“. სასამართლო რა ვიდეომტკიცებულებებს ჩათვლის სარწმუნოდ ან ვის მიანიჭებს დამნაშავის სტატუსს, ეს ჯერ უცნობია და ცხადია, ამაზე ჩემი ვერსიების გავრცელების უფლებას თავს ვერ მივცემდი.

სადავო ფრაზა: ,,დამნაშავეს ცხადია, სასამრთლო გამოავლენს, თუმცა ფაქტია, რომ უსამართლოა თაობის გამორჩეული წარმომადგენელების დაკავება! წარმოუდგენელია ჯგუფური ძალადობა დააბრალო პროფესორს, რომელიც საკუთარი ქვეყნის პატრიოტია, სტუდენტების გულმხურვალე მხარდამჭერია და მისი გამორჩეული ინტელექტი ამ უმაღლესი სასწავლებლის საყრდენია, არა მხოლოდ, აკრედიტაცია- ავტორიზაციის, არამედ - სრულად სასწავლო საგანმანათლებლო პროცესში; უსამართლოა ასე მოექცე სტუდენტებს, რომლებიც განსხვავებული აზრისადმი პატივისცემით, მოყვასის სიყვარულით (ისევ იხილეთ ვიდეო 2) და ქვეყნის დემოკრატიული მომავლისადმი ერთგულებით გამოირჩევიან!

განმცხადებლის ანალიზი: „დანაშაულს, რა თქმა უნდა, დაადგენს სასამართლო. მოცემულ ეპიზოდში ჟურნალისტი ყრუა თავის თავზე იღებს პროკურორის, მოსამართლისა და ადვოკატების ფუნქციას და თავადვე გამოაქვს დასკვნები, უდანაშაულოდ სცნობს დაკავებულებს, ასევე ეჭვ ქვეშ აყენებს დაზარალებულების სტატუსს და მიზანმიმართლად ცდილობს სიბრალული გამოიწვიოს დამნაშავეების მიმართ, იყენებს სხვადასხვა ეპითეტებს, აკეთებს მკვეთრ აქცენტებს და იყენებს სხვადასხვა არავერბარულ ხერხებს მისი აზრის გასამტკიცებლად, აპელირებს ბრალდებულთა უნარ-ჩვევებზე, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს არსებულ გარემოებასთან, ასევე იგი აკეთებს დეკანის პროფესიულ შეფასებას, რისი კომპეტენციაც მას არ გააჩნია, დეკანის მისეული შეფასება მთლიანად არის დაფუძნებული ყურიას პირად ფანტაზიაზე. (არგუმენტი : 2012 წლიდან ვარ უნივერსიტეტის თანამშრომელი, ვარ ასოცირებული პროფესორი, ასევე ვხელმძღვანელობ სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილებას, ყურუა არის მხოლდ და მხოლოდ მოწვეული პედაგოგი, რომელიც ისე ვერ

იქნება ჩახედული ჯორბენაძისა და ზოგადად შიდა საუნივერსიტეტო საქმიანობაში როგორც მე).

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: სადავოდ გამხდარი ფრაზები არის ჩემი შეფასება, რომელიც ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელსაც მე ვფლობ დაკავებულებზე, ვიდაიდან მათ კარგად ვიცნობ, როგორც ამ უნივერსიტეტის ლექტორი. რაც შეეხება დეკანის კომპეტენციების შეფასებას, ჩვენ ამ უნივერსიტეტში ერთად ვიყავით სტუდენტობის პერიოდიდან, 1997 წლიდან (ვართ თანაკურსელები და მეგობრები) და 10 წლის წინ ისევ გადავიკვეთეთ უკვე როგორც ლექტორები. ის, რომ მამუკა ჯორბენაძე არის მაღალი კლასის პროფესიონალი და უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი აკადემიური პერსონალი, დასტურდება თავად უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელების მიერ მომზადებული წერილითაც, რომელიც ადვოკატებმა მოსამათლეს წარუდგინეს. ჩემი მონოლოგის ეს მონაკვეთი ნამდვილად არ არის არც სასამართლოს, არც პროკურატურის და არც ადვოკატების კომპეტენციაში შეჭრა, ვინაიდან მე ვსაუბრობ მხოლოდ დადასტურებულ ფაქტებზე. განმცხადებელი ცდილობს საკუთარი შეფასება ჩემს სიტყვებად წარმოაჩინოს...აქვე მინდა განვაცხადო, რა არავერბელურ ხერხებზე საუბრობს განმცხადებელი ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

სადავო ფრაზები: ,,ამ ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების 48 საათიანი ვადა მიმდინარეობს, სწორედ ამიტომ, დაკავებულების ახლობლები, სტუდენტები, უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლები პროცესის ხელოვნური დაზიანებისგან დაზღვევის მოტივითი საჯაროდ საუბრისგან თავს იკავებენ“.

განმცხადებლის ანალიზი: „ყურუა მაყურებელს უქმნის წარმოდგენას რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, ლექტორი და კურსდამთავრებული დაკავებულებს უდანაშაულად თვლის, ის მიზანმიმართლად არ იყენებს სიტყვა ,,ნაწილს“ ასევე, ყურუა მიანიშნებს იმაზე, რომ თითქოსდა განცხადებების გაკეთებისგან ბრალდებულთა ახლობლები თავს დაზარალებულების მოთხოვნით იკავებენ“.

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: განმცხადებლის მიერ მოხმობილი ტექსტიდანაც დარწმუნდებით, რომ არსად ვახსენებ ვინ თვლის ან არ თვლის დამნაშავედ დაკავებულებს. მაყურებელს მხოლოდ იმას ვაცნობ, რომ დაკავებულების ახლობლები, სტუდენტები, უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლები (აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრებამდე) პროცესის ხელოვნური დაზიანებისგან დაზღვევის მოტივით, საჯაროდ საუბრისგან თავს იკავებენ. მით უფრო, არსად ვამბობ, რომ „განცხადებების გაკეთებისგან ბრალდებულთა ახლობლები თავს დაზარალებულების მოთხოვნით იკავებენ“ (როგორც ეს განცხადებაშია აღნიშნული). ამ ეპიზოდშიც განმცხადებელი თავის შეფასებას ჩემს სიტყვებად წარმოაჩენს.

სადავო ფრაზა: „დაკავებულების გირაოს საფუძველზე გათავისუფლების მოთხოვნით მოსამართლეს მიმართეს ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა. იმავე მოთხოვნით პეტიციას ხელი მოაწერა 2 628 ადამიანმა. ერთ-ერთი სტუდენტის - ანრი კაკაბაძის გათავისუფლების მოთხოვნით აქცია გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან, ყველა დაკავებულის მხარდასაჭერი აქციები კი მიმდინარეობს ბათუმში. დარწმუნებული ვარ, პროფესორი და სტუდენტები მალე ისევ თავისუფლები იქნებიან, თუმცა მათ წინააღმდეგ დაწყებული ეს პროვოკაციული საქმე ბათუმელებს და არა მხოლოდ მათ, დიდხანს ემახსოვრებათ“.

განმცხადებლის ანალიზი: „ყურუა მე, ჩემს მეუღლეს და ჩემი მეუღლის მეგობარს გვიწოდებს პროვოკატორს, ასევე გვამცირებს და ამბობს, რომ ჩვენი საქციელი ქალაქს დიდხანს ემახსოვრება“.

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: ვერც ამ ბრალდების მტკიცებულებას იპოვით ჩემს ტექსტში, ვინაიდან მსგავსი რამ არ მითქვამს. „პროვოკაციული“ ეს არის ჩემი, როგორც ანალიტიკური გადაცემის წამყვანის შეფასება სტუდენტების დაკავების საქმისადმი და ნამდვილად არ ვახსენებ ქ-ნ თ. ცაგურიას ან - მის მეუღლეს, ვინაიდან სასამართლოს ჯერ-ჯერობით არც ერთი მხარის ბრალეულობა დამტკიცებული არ აქვს. ის, რომ ჩადენილი საქციელი ამცირებს მათ, ესეც მათი აღქმაა და არა - ჩემი სიტყვები. მსგავსი რამ ჩემს ტექსტში არ იძებნება.

სადავო ფრაზები: „ისტორიას და საზოგადოების მეხსიერებას ასევე შემორჩება წარმოუდგენელი სისასტიკე საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ და მედიის წინააღმდეგაც, რომელიც აქციებზე პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. 28 ნოემბრიდან დღემდე, აქციებზე დაშავდა მედიის 50-ზე მეტი წარმომადგენელი. უმეტეს შემთხვევაში ისინი“....

განმცხადებლის ანალიზი: „ყურუა ამ მონაკვეთში პირდაპირ გადადის აქციებზე დაკავებულების შესახებ საუბარზე, რითიც განზრახ აბნევს მაყურებელს და ისევ უქმნის მათ წარმოდგენას რომ დაკავებულები არიან პოლიტ პატიმრები.“

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: საერთოდ გაუგებარია ეს ბრალდება. როგორც ანალიტიკური გადაცემის წამყვანი, ყოველ გადაცემაში ვაკეთებ აქტუალური თემების მიმოხილვას; მაყურებელს გადამოწმებული და დადასტურებული სათანადო ინფორმაციის მიწოდებით, ვაცნობ იმ საკითხებს, რომლის ირგვლივაც ვიმსჯელებ სტუმრებთან ერთად. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ გადაცემის მსვლელობისას, არც ერთხელ, არც ერთ ბლოკში არ მიხსენებია, რომ დაკავებული სტუდენტები და დეკანი არიან პოლიტპატიმრები, რის წარმოჩენასაც განმცხადებელი დაჟინებით ცდილობს. ფაქტია, რომ სადაოდ ქცეული ინციდენტის საფუძველს წარმოადგენდა ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე

საზოგადოებრივი პროტესტი, რომლის აქტიური მონაწილები იყვნენ დღეს უკვე ბრალდებული პირები. სწორედ აღნიშნული საზოგადოებრივი პროტესტის პოპულარიზაციის მცდელობას უკავშირდებოდა ამ სტუდენტების აქტივობა უნივერსიტეტში, რასაც ლექტორთან ინციდენტი მოჰყვა. ფაქტია ისიც, რომ სტუდენტებს არანაირი დაპირისპირება და ინციდენტი არ მოსვლიათ ქ-ნ თეა ცაგურიასთან მანამდე. ინციდენტი დროში დაემთხვა სტუდენტებისა და დეკანის ჩართულობას საპროტესტო აქციებში და ინციდენტიც გამოიწვია საპროტესტო შინაარსის პლაკატის რექტორის კაბინეტის კარებზე გაკვრის ფაქტმა.

განმცხადებელი ბოლოს აღნიშნავს: „როგორც ვიდეოში ჩანს, ბრალდებულები არ დაუკავებიათ აქციაზე და მათი დაკავების მიზეზი არანაირ კავშირში არ არის პოლიტიკასთან, აღნიშნულ სტუდენტებს ჩემს მეუღლესთან და მის მეგობართან ამ ინციდენტამდე არანაირი შეხება არ ჰქონიათ, რაც დადასტურებულია მათივე ჩვენებებითაც. აღნიშნული ინციდენტის ორგანიზატორი და ინიციატორი გახლდათ ყურუას ,,დაცვის ქვეშ მყოფი" დეკანი ჯორბენაძე, რომელსაც პირადი კონფლიქტი ჰქონდა ჩემთან.

გადაცემის ავტორისა და წამყვანის პასუხი: არსად მითქვამს, რომ ბრალდებულები აქციაზე დააკავეს. ამის გარკვევა ძალიან მარტივია მონოლოგის მოსმენით. არის თუ არა მამუკა ჯორბენაძე ინციდენტის ორგანიზატორი, ამას სასამართლო გადაწყვეტს. გადაცემის არც ერთ ეპიზოდში არ მიცდია გამოძიების მიერ ამოღებულ ვიდეოზე დაფიქსირებული ფაქტების უარყოფა ან - უტყუარ მტკიცებულებად წარმოჩენა. ეს სცდება ჩემი, როგორც წამყვანის, კომპეტენციას და მიუხედავად განმცხადებლის არაერთგზის მცდელობისა, საგამოძიებო უწყებების უფლება-მოსილებაში ერთი წამითაც არ შევჭრილვარ.

დასკვნის სახით მინდა განვაცხადო:

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტები ამ წუთებშიც გაფიცული არიან და ითხოვენ ყველა უსამართლოდ დაკავებული პირის გათავისუფლებას. ისინი რამდენიმე ღამის განმავლობაში რჩებოდნენ შენობაში, ღამეს ათევდნენ ფოიეში და გამოფენილი ჰქონდათ, როგორც დაკავებულებისადმი მხარდამჭერი ბანერები, ასევე - საპროტესტო პლაკატები. მსგავში შინაარსის ბანერები გადმოფენილი იყო შენობის ფასადზეც. მას შემდეგ, რაც გაფიცულმა სტუდენტებმა საპროტესტო შინაარსის სპექტაკლი ქუთაისში გაიტანეს და დადგეს, უკან დაბრუნებულებს, ყველა ვიზუალური მასალა ალაგებული დახვდათ, თუმცა ისინი გაფიცვის რეჟიმში დღესაც რჩებიან. სტუდენტების გაფიცვას რექტორის გადადგომა მოჰყვა.

უტყუარი ფაქტის სახით მინდა გაცნობოთ, რომ დღეს უკვე ბრალდეული პირები, სხვა სტუდენტებთან ერთად, ბათუმში მიმდინარე აქციებში მონაწილეოდნენ. მათ დაგმეს ხელისუფლების ანტიევროპული გადაწყვეტილება, კონსტიტუციის 78-ე მუხლის დარღვევა და შეუერთდნენ იმ საპროტესტო პროცესებს, რაც სრულიად საქართველოშია გაშლილი. ქ-ნ თ. ცაგურიასთან სტუდენტების დამოკიდებულება სწორედ მათი აქციებში მონაწილეობის შემდეგ გამწვავდა.

სტუდენტებმა უფლებადამცველებს უკვე მიაწოდეს ვიდეოჩანაწერები, სადაც ლექტორი მათ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გავრცელებული ციხის კადრებით „აშინებს“ და სტუდენტებს „ნაცებს“ უწოდებს. ბრალდებული სტუდენტები აქციებზე გასვლამდე არავის ჩაუთვლია „მოძალადეებად“, „ზონდერებად“, ადგილი არ ჰქონია ძალადობრივ ინციდენტებს და საუნივერსიტეტო საქმიანობაც მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ფაქტია და ამას ვერავინ უარყოფს, რომ ლექტორი და სტუდენტები მას შემდეგ აღმოჩნდნენ გისოსებს მიღმა, როცა მათ საპროტესტო აქციებში დაიწყეს აქტიური მონაწილეობა. დღეის მოცემულობით, აღკვეთის ღონისძიების უმკაცრესი ფორმა – პატიმრობა გირაოთი შეეცვალა დეკანსა და სამ სტუდენტს, ერთი სტუდენტი – ანრი კაკაბაძე კი კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩება. სასამართლო საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეა გადასული

 განმცხადებლის მიერ მომზადებულ საჩივრებს მე განვიხილავ ჩემს წინააღმდეგ დაწყებული ორკესტრირებული მადისკრედიტებელი კამპანიის ნაწილად, რაც მიმდინარეობს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში დარჩენილი ერთადერთი გადაცემის დასახურად, სადაც ჯერ კიდევ ისმის განსხვავებული და კრიტიკული მოსაზრებები. მოგეხსენებათ, რომ ჩემი გადაცემის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო დირექტორმა, საზოგადოებამ კი ვლადიმერ ტატიშვილს ამის უფლება არ მისცა.

კიდევ ერთხელ გიდასტურებთ პატივისცემას და მაქვს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მოლოდინი.